

აუდიტორული დასკვნა №1/21-2016 შპს „სტუდია მამსტრო“-ს ბალანსზე 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

ქ. თბილისი

22 აპრილი 2016 წ.

შ.პ.ს. აუდიტორი ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს აუდიტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 16 მაისს გაცემული სერთიფიკატები № 5/539; № 5/541; და № 5/540) და აუდიტორმა გიორგი გულუამ (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2010 წლის 13 დეკემბერს გაცემული სერთიფიკატი № N5/457) შპს „სტუდია მამსტროს“ დაკვეთით მოვახდინეთ საზოგადოების 2015 წლის წლიური ბალანსის ანგარიშებზე თანხების მიკუთვნების სისწორის აუდიტორული შემოწმება თანახმად 2013 წლის 03 იანვარს დადებული №03.01.2013.002 ხელშეკრულებისა აუდიტორული მომსახურების შესახებ.

დამკვეთს ეცნობა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რითაც „პასუხისმგებლობა ბუღალტრული და საფინანსო ანგარიშგების სწორად შედგენისა და მათი მომხმარებლისათვის წარდგენისათვის ეკისრება სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელს“, აგრეთვე „აუდიტორის ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის „ინფორმაციის კონფიდენციალურობისა“ და მე-9,5. მუხლის აუდიტორისათვის შეუთავსებელი ქმედებების შესახებ, რომელიც გულისხმობს აუდიტორისათვის მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და აუდიტორისათვის შეუთავსებელ ქმედებებს.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე მტკიცებულებების მოსაპოვებლად. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. აუდიტის საგანს ასევე წარმოადგენდა ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალ მტკიცებებსა და აღრიცხვის პრინციპებს შორის შესაბამისობის ხარისხის განსაზღვრა იმ სააღრიცხვო მონაცემებთან, რომლებიც საფუძვლად უდევს ანგარიშს. მტკიცებები სამეურნეო ოპერაციების შესახებ მიღებულია სააღრიცხვო

ოპერაციებისა და საბოლოო ჯამში მიღებული შედეგების მიხედვით. მიგვაჩნია, რომ აუდიტის დროს მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს გვიქმნის აუდიტორული დასკვნის წარსადგენად.

საზოგადოების ხელმძღვანელობას მიეთითა საფინანსო ოპერაციების შესრულებისას კანონმდებლობის არსებითი დარღვევების, მოქმედ კანონმდებლობისა და ნორმატიულ აქტებთან შესაძლო შეუსაბამისობის შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ბრუნვითი ბალანსის და მოგება-ზარალის უწყისის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს "სტუდია მანეტრო"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით.

აუდიტორი:

6. 

/ნ.ბაკაშვილი/

აუდიტორი:



/გ.გულუა/

აუდიტური ფირმა
ბაკაშვილი და კომპანია"-ს
დირექტორი:



/ნ.ბაკაშვილი/

წინასწარი ანგარიშგება (ბალანსი)
2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

შპს "სტუდია მასტრო"	შენიშვნა	01.01.2015	01.01.2016
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სასხრები		16 741	184 086
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1 627 494	(765 797)
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		82 880	80 947
სხვა მიმდინარე აქტივები		7 499 907	13 800 941
სულ მოკლევადიანი აქტივები		9 227 022	13 300 177
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		7 007 911	8 223 812
არამატერიალური აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		7 007 911	8 223 812
სულ აქტივები		16 234 933	21 523 989
კაპიტალი რეზერვები და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება		1 532 355	3 472 250
საგადასახადო ვალდებულება			
გადასახდელი ხელფასები			
სხვა დარიცხული ვალდებულებები		7 902 546	15 274 513
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9 434 901	18 746 764
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		25 936 382	34 460 186
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		25 936 382	34 460 186
სულ ვალდებულებები		35 371 283	53 206 950
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		-	-
რეზერვები და სხვა		(19 136 351)	(31 682 961)
სულ კაპიტალი		(19 136 351)	(31 682 961)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 234 933	21 523 989

უფლებამოსილი პირი



2015 წლის მოგება-ზარალის ანგარიში

შპს "სტუდია მასტრო"

მოგება-ზარალის ანგარიში	2015 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	6 739 960
რეალიზებული პროდ. თვითღირებულება	654 046
მთლიანი მოგება	6 085 914
საოპერაციო ხარჯები	18 297 619
ცვეთა და ამორტიზაცია	1 358 440
სულ საოპერაციო ხარჯი	19 656 059
სულ საოპერაციო მოგება	(13 570 145)
არასაოპერაციო მოგება	30 015
არასაოპერაციო ზარალი	-
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	30 015
მოგება დაბეგვრამდე	-
მოგების გადასახადი	-
წმინდა მოგება	-

უფლებამოსილი პირი

